

სასახლში ზაფხუში

სუკრათეზიანი დამატება

გაზეთის № 101.

კვირა, 5 სექტემბერი 1910 წ.

დაბატების № 17



საბჭოთაო სახელმწიფო
ბიბლიოთეკა
თბილისი



კატეგორი

უცხო მხარეს

კიდევ მეწვიე, ტურფა ფრინველო,
ტანჯული გულის დამატკობელად?
ჩემის ღუხჭირის, ტლუ-მკვდარ ცხოვრების
დასაწყევლად და დასაგმობელად?!

რომ გაგაგონა რა რიგ ვიტანჯვი,
განაცხივლებდი შენსა მღერასა
და სირთ სამეფო დამწვარ-დაგული
გადაჰყვებოდა გულის ძგერასა!

ლაღად ვილოდი, მაშინაც ვწყევდი
ჩემს გაჩენის დღეს, ჩემს არსებობას;
ამა მსოფლიოს პირველს წარმომშობს
არა ერთის გზით ვუთვლიდი გმობას.

და ახლა, როცა საქაწში ვზივარ,
დაშორებული სამშობლო მხარეს,—
ვაი ჩემს ყოფას! ზღვა ვერ დაიტევს
ჩემსა ვაებას, ჩემს სიმწუხარეს!..

ხშირად მეწვიე, უცხო ფრინველო,
ტანჯული გულის დამატკობელად;
ჩემის ღუხჭირის, ტლუ-მკვდარ ცხოვრების
დასაწყევლად და დასაგმობელად.

და თუ ოდესმე აქ ველარ მნახო,
წადი, მონახე შავი სამარე,
მერე გაფრინდი და ჩემ სამშობლოს
მიუჯა ჩემი სალამი მწარე!..

ბ. ახოსპირელი.

იყავ უკუაშე

აწროცდა ხუთი წლის დაულალავ მიღვაწეობის გამო.

იამ მახარა

1.

შენ ხარ ღიმილი, მე—წრფელი ბაგე...
ჩემს ლალის ტუჩებს არ დაჰფარჯატებ!..
სად ხარ?—ხმა მომეც! მსურს ნახვა შენი!..
იყავ...—სად გაჰქარი? ვის გრძობას ანთებ?

იამ მახარა ჩემთან იყო, —
მთრთოლვარე ხელით მოგიწყვეტია;
თუ არ გიყვარდა თეთრი შროშანი,
შორიდან კვდომით რად გიქვრეტია?

ნაზად გაფურჩქენილ ზამბახს ვადარე,
სუსხის ქამს გრძობა გადაგაფარე;
და გაზაფხულზე რა გაიხარე, —
უმანკო, ნორჩი კვლავ შეგიცვარე.

2.

არა ხარ გველი, —მაშ რისთვის მშხამავ?
არ იყავ ბასრი, —მაშ რად დამკოდე?
აზანთე ცეცხლად და თვით გამშორდი...
მსურს ტრფობის აღში მარად ვიწოდე!

დილას გაფიცებ გაზაფხულისას,
გაფიცებ სტვენას თვით ბულბულისას! —
მტანჯავ, —მიყვარხარ! ჰრბი და თან მოგდევ!..
აწ არად ვიმჩნევ ტკივილს წყლულისას?

ა. შანშიაშვილი.



უამოღოების ლამე

დაფენილ კორდს ანცი წყარო
ნელად უმღერს ჰანგს იღუმალს:
კლდეზე სცურავს—სდნება ცრემლად
და ეფრქვევა პირ-ქუშ ნაპრაღს...

* *

მთის ნიაფი ფრთა გაშლით ჰქრის
მთვარე კაძალვით იყურება;
სოსანს ბუჩქში ფერი სცვლია
და ფოთოლი თრთოლვით სწყდება.

* *

ვსდგევარ ველზე... ოცნების ღიმს
სიო ნაზ ფრთით შორსა მტაცებს;
თან შექსოვილს აწმყოს ნალღვლის
წარსულისთვის გადასაცემს!..

* *

და ლამე კი მყუდროების
სულს გაღმოსცემს წუთით შეებას;
აკისკროვნებს გულს დაკოდის
და ფრთებს უხხამს ჩამკვდარ ვნებას...

* *

მაგრამ მიჰქრის ღამის ბინდი
და თან მიაქვს იას ოცნებას;
მე კი ჰედკრულს სინამდვილედ
მხოლოდ ისევ ტანჯვა მრჩება!..

ს. ფაშალიშვილი.




იმიჯის გემი

დაუსრულებელ მოლოდინით მწარე ვლონდები,
დად იმედის აღსასრულისა ვერ ველარსები!
ვისმენ ზღვის ქუხილს... შორს სივრცეში გემიცა სჩნდება,
გულს დამწუხრებულს შვების ცრემლი კვლავ ეპყურება!..

მზე ჩაესვენა... ჩრდილოეთით ქარმა დაჰბერა,
ჩანგს სიმი შესწყდა და მიუჭრა მგონის სიმღერა!
იმედის გემსა ზღვა-ტალღას სცემსი ვაჰ, ილუზება!..
მოსაგონებლად ნუ თუ კვალიც აღარ დარჩება?

ელა შანშიაშვილი.



გ ე ღ ი

მოჭრენს გედი, ფრთასა სწურავს,
შავს ღრუბლებში მდგრად სცურავს!..

ქარი ჰბერავს,
ჰქუხს და გრგვინავს,
ეხეთქება
გელსა მფრინავს,

მაგრამ გედი, ფრთა ძლიერი,
გულ-მაგარი, ქარის მტერი
მდგრად მოდის, არა დრკება,
დაბრკოლებას ზე-ასკდება!

ჰოი, გელო,
თეთრო გელო!
ჩემო სასოვ,
და იმედო!

გადმოჰხედე შენსა ერთგულს
ცხოვრებისგან ტანჯულ-გვებულს,—
მას ჰსურს შენთან მოჭრინადეს,
გულის წადილს მანდ იკლავდეს!
წარიტაცე შენთან ერთად,—
ის ჩაგრიცხავს თავის ღმერთად!..

გედმა მალლით დამინახა
და ამაყად გადმოძახა:
უძლური ხარ მიწის შვილო, —
ვერ შეიძლებ ჩემთან ფრენას...
დაიხედე, ფრთები არ გაქვს,
ტყვილა რად სდევ გულისა თქმას?..

მარტო დავრჩი... ცრემლი მომსკდა,—
არ მქონია ძალა ფრენის,
ტყვილა იწევს გული ცისკენ,
ტყვილა შფოთავს, ტყვილა მღერის...
დაღვრემილი მივწექ ველზე
და ჩავფიქრდი ჩემს მწარ ბედზე

ქარი ჰბერავს,
ჰქუხს და გრგვინავს,
ეხეთქება
გელსა მფრინავს,

მაგრამ გედი, ფრთა ძლიერი
გულ-ზვიადი, ქარის მტერი,
მდგრად მოჰქრის, არა დრკება,
დაბრკოლებას ზე-ასკდება!

დ. ელიოზიშვილი.

„ახალი საღვებელი“

(ჩვენ სოფლის მეურნეთა საყურადღებოდ).

საქიროდ მიგვაჩნია მივაქციოთ ჩვენი სოფლის მეურ-
ნეთა ყურადღება ახალ ჯურა საღვებელზე. ეს საღვებე-
ლი, „ვიქტორია“ წოდებული, ძალიან ვრცელდება ამ-
ხანად დასავლეთ ევროპაში და მართლაც რომ ღირსია გაე-
რცელებინა.

როგორც მოგვხსენებთ, რძე-ნაღებში მყოფ ერბოს
წვეთებს გარშემო აკრავთ სეროზის აფსკა, გარსი; ღვების
დროს ერბოს ეს წვეთები ერთმანეთს ეხეთქევახებიან, აფსკა
უსქდებათ და აფსკა განთავისუფლებული ერბოს წვეთები
ერთმანეთს ეკვრიან, ეწებებიან; ამაზე იტყვიან ხოლმე ჩვენ-
ში „კარაქი აჩნდა“. მცირე ღვების შემდეგ ერბო უფრო
დიდ მარცვლებად გროვდება და თვალათ სახილველიც
კი ხდება. მაშინ ღვება დამთავრებულია.

როგორც ხედავთ, ღვების მაზანია რაც შეიძლება
უკეთ დაუზიოს აფსკა ერბოს წვეთებს, ამისათვის რძე-ნაღებს
დიდი შენჯღრევა სჭირია; რაც უფრო უკეთ შენჯღრევს
რძე-ნაღებს საღვებელი, მით იგი უკეთესია.

საღვებელი „ვიქტორია“ წარმოადგენს ბოქვას, რკი-
ნის ფეხებზედ ჩაოკიდებულს. ამ ბოქვას ერთი ძირი ხუფად
აქვს გაკეთებული და ზედ დაიმაგრება საგანგებო ბურღებით.
ხუფს დატანებული აქვს პაწია ფანჯარა, იმის გასაგებად
შეიღვებოთ თუ არა კარაქი. შეიტყობა ეს ასე: ახლად ჩას-
ხმული მასალით (რძე-ნაღებით) ფანჯრის თვალი თეთრად
იფერება, როცა კარაქი შეიღვებება, თვალი მოსუფთავდებ-
ა ხოლმე; ვისაც უფრო შეჩვეული აქვს მასალის (რძე-ნაღე-
ბის) ხმაურობითაც შეიტყობს შეიღვებოთ თუ არა კარაქი.
ხუფში გაკეთებულია კიდევ ონკანი, რომლითაც ღვების
დროს რძე-ნაღებიდან გამოცლილ ჰაზებს გამოუშვებენ; ამის-
თანა მოწყობილობას მთაში „შუშუტას“ ეძახიან. ხუფს აქვს
რეზინის რკალი, რომლის წყალობითაც ყოვლად შეუძლებ-
ელია ბოქვაში მოქცეულ საღვებ მასალის დაღვრა თუ
ხუფს ბურღები რიგაინად მოეჭირა.

ბოქვას ძირთან, გვერდზე დატანებული აქვს პატარა
გამოსავალი პირი; აქედან დოს გამოუშვებენ ხოლმე; ეს პი-
რი საგანგებო ხის საცობით დაიცობა ხოლმე. საღვებელი
საუკეთესოა აწ არსებულთა შორის, მეტადრე მცირე მეურ-
ნეობაში. საღვებელს სხვა და სხვა ზომა—ფასისას ამზადებენ:

№ 1	სღვებს	1 1/3	ვედრამდე	და	ღირს	21 მ.
2		2	„	„	27 მ.	50 კ.
3		3 1/3	„	„	34 მ.	
4		5	„	„	42 მ.	50 კ.

ამისთანა საღვებელი გამოხატულია სურ № 1, ამ საღ-
ვებელს შიგ არაფერი აქვსრა ჩადგმულია ხარისხა; არის ხა-
რიხებიანი, რომლის ამოღება ადვილია და საღვებლის
გარეცხა-გასუფთავებას სრულადაც არ აფერხებს. ამისთანა
საღვებელი გამოხატულია სურ. № 2. ფასი ამ ხარიხებისა
№№ 1—2 სათვის 1 მ. 50 კაპ., №№ 3—4 2 მ. 50 კაპ.
როგორც ხედავთ ეს საღვებელი თუმცა ძალიან კარგი,
ადვილი სამუშაოებელია, მაგრამ ძალიან ძვირია; ეს სიძვირე
აიხსნება რკინის ფეხების სიძვირით. ამიტომ ახლა ხან შემო-
ვიდა ამისთანავე საღვებელი, მხოლოდ ხის ფეხებით. ჰქვიან
ამ საღვებელს „ამერიკული საღვებელი „აკმა“ იხ. სურ.
№ 3. ეს საღვებელი ფრიად იაფია.

№ 0	სღვებს	1	ვედრამდე	და	ღირს	10 მ.
№ 1	„	2	„	„	11 მ.	
№ 2	„	3	„	„	12 მ.	
№ 3	„	4	„	„	14 მ.	
№ 4	„	5	„	„	17 მ.	

